

თეატრი
სსოფრებს

ავთოცვლ სალიცვრავურთ ჟურნალი



მოდრავი დახი ქიზიუში



1. საკუთარი სახიერება, მეოჯორი 1
2. სათეატრო შენიშენები, ჭქაღუესისა 2
3. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, ზღ. წერეთლისა 3
4. * * (ლექსი) ა. შინაშეშედასა 3
5. ბუნების კანონი, ესკიზი შ. დომიძისა 4
6. ლაღი აღნიაშვლი (გაგრძელება), ზღ. შირაძისა 4
7. აგარაკზე, ზღ. წერეთლისა 5
8. ილია ქაღუეძე, შ. გვედევანიშვილის გამოცემა 1914 წ. ვახ. კოტეტიშვილისა 6
9. ჩემო სამშობლო! ზღ. ბახტაძისა 7
10. შემოდგოა თბილისში, ლექსი ი. გრიშაშვილისა 8
11. მოგონება, ლექსი შთის ნაფისა 9
12. კომპოზიტორ დ. არაკიშვილის თხზულებანი, გ. სუყეაშვილისა 9
13. ცხოვრება (გაგრძელება), ს. გახასაშვილისა 11
14. ჩემი ნატერა, ლექსი იუხა ზანდაღიშვილისა 12
15. ქართული სახალხო თეატრის ისტორია, (გაგრძელება) გ. ჭაბაუფისა 14
16. პროვინციის სცენა საგარეჯო, — Mortalis-ა 15
17. წერილი ამბები სურათები; განცხადებანი. 15

თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოების გაგეობა აცხადებს, რომ მას განჯარულო აქვს იტალიან მიაწუკოს სპეციალურად ხელმძღვანელობით

სამსახური კრამისიული სპუდის
 ამიტომ იგი ირეგს ქოლო და ვაჭო, რომელიც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვს, ჩაეწერნენ ამ თავიფე გავგეობის კონტრაქტში, ჩაეწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბერამდე. სწავლა უფასო იქნება. პირობების გავება შეიძლება კონტრაქტში დღისით 1—3 საათამდე. წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოადგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა **შექსპირის** რვა ტომის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელიო, მეფე ლირი, მაცხტი, იულიუს კეისარი, ანტონიუს და კლოპატრა, კორიოლანოს და რინარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემის დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადღებულ იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გაღანდა სამიზოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადალ: პირველი შემოსატანი—1 მან., მეორე—პირველ ნომერს—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი ღარიგდება 1915 წლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიღება თბილისში: ქართ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამაგრეტელ მალაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) ჟოკატრის და ცხოვრების რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავარი შეილისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.



№ 27

წ. 11

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. ღრ. სახ. კანტორაში და „სორაპან“-ს სტამბაში. მისამართი: Тифлиси, Грузинский Театр, ред. „Театри да Цховреба“ Юс. Имедашვილი

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საკუთებისამებრ შესწავრდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში — დღილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9. სტამბისა — 15-41.

№ 27

კ ვ ი რ ა 7 მ ე კ ე ნ ი ს თ ვ

1914 წ.

7 მ ე კ ე ნ ი ს თ ვ.

საკუთარი სახიერება ჩვენ ვიცნობთ ყველას საკუთარი თავის გარდა, ვესარჩლებით ყველას საკუთარ მოძმე-გლეხთა გარდა, ვგოდებთ ყველას ქირ-ვაებაზე საკუთარის გარდა, ვბჭობთ სხვათა ცხოვრების მოწესრიგებაზე, საკუთარის გარდა... დავკარგეთ საკუთარი სახიერება, თვითაზროვნება, საკუთარი ალლოიანობა.. მსოფლიო საკითხები, ცხრა-მთას იქითელთა ავკარგი უფრო გვაფიქრებს, ვიდრე საკუთარი... არ ვუწყით საკუთარი წყლული, საჭიროება, არ ვუწყით და არც გვინდა დაცოდეთ... აზრ-გაორკოვებულნი, დედამიწის მოწყვეტილნი და ვერც ცამდე მისულნი, ცა-დელდამიწის შორის ჰაერში ვართ გამოკიდულნი...

კაცობრიობის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი წუთი, როდესაც ერთი მიწა-წყლის შვილნი, ერთი გვარ-ტომის შთამომავალნი, ხშირად სარწმუნოება-რწმენით განსხვავებულნი, ყოველგვარ განხეთქილებას ივიწყებენ.

სათეატრო

ქართული თეატრის მდგომარეობა ისეთია, რომ ის კიდევ საჭიროებს მ-ს სასარგებლოდ ხალხში აგიტაციის გაწევას. ხალხს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, კიდევ არა აქვს თეატრის დიდი მნიშვნელობა სავსებით შეგნებული. შეიძლება ამ ხალხიდან ძალიან ცოტა რიცხვი დადიოდეს თეატრში, მაგრამ მათაც თეატრი წარმოდგენილი აქვსთ არა ცხოვრების სარკედ და მოზრდილ ხალხის სკოლად, არამედ გამართობელ გამამხიარულებელ დაწესებულებად. ის თეატრში დადის

ბენ, კაბინეტურ მრავალიტყვაობას, ცხოვრებასთან შეუთანხმებელ სჯა-კამათს გვერდს უხვევენ და ერთის აზრით აღფრთოვანებულნი გადიან თვითარსებობის დსაცავად, ანუ თვის სულიერ-წიფითერ სიძლიერის განსამტკიცებლად... ეს წუთია ხალხის დიადობის უმაღლესი ხანა და თავდები მისი უტყუარსი მომავლისა. . ნუ თუ ჩვენ არ მოგვეპოვება ერთი ისეთი საგანი, საერთო მიზანი, რომლის გარეშემო მიიწე შეგვეძლოს შეგგუფება, გაერთოსულოვანება, ერთის აზრით აღფრთოვანება?! მსოფლიო ტრაპეზზე კი მხოლოდ იგია მისაშვები, ვისაც საკუთარი სახიერება აქვს... და ვისაც თავისი თავი ჯერ კიდევ ვერ უტყვია — ვაი მისი ბრალო!

ჩვენი საერთო წყლული, იარები, ჩვენი დაქსაქსულობა სამშობლო სცენამ მიიწე გვიჩვენოს და ჩვენსავე გულში ჩავგახედოს, — კითხვა მიიწე დავვიყენოს: რანი ვართ, რანი უნდა ვიყვნეთ და სადა ჩვენი საკუთარი სახიერება?!

შენიშვნები


დრო-გამოშვებით და არა სისტემატიურად, მას თეატრში სიარული მოთხოვნილებად არა აქვს გადაქცეული. აღსანიშნავია, რომ ქართველ ინტელიგენციას ასეთი უმნიშვნელო საქმეც კი ვერ გაუკეთებია, მაშინ, როდესაც მისგან კარგი ინტელიგენტების ხმარებაჲ ქვეყანა გააყრუა.

ხალხში თეატრის დიდი მნიშვნელობის შესატანად დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისა თუ დრამატიულ საზოგადოების იუბილეს იუბილეს გარდა მსახიობის შრომის და-

ფასებს თეატრის სასარგებლო სააგენტო ხასიათი აქვს. თეატრში შეკრებილი ხალხს იუბილეს დროს ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს, თუ რა სასარგებლო მოუტანა მან საზოგადოებას და სხ. ამგვარ მისიას ასრულებს იუბილე, თუ ამ იუბილეში ხალხი ლებულობს მონაწილეობას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ იუბილეებს დროს მდაბიო ხალხს, დემოკრატიულ წაწილს საზოგადოებისა ნაკლებად ვხვდებით, იუბილეების დროს თეატრში შესასვლელ აწეულ ფასების გამო. მას უმთავრესად ბობოლა ინტელიგენტი ესწრებიან. მომავალში მინიცი ვცვალოთ საიუბილეო წარმოდგენებს თუ საღამოებს ხალხი დავასწროთ. მაშინ იუბილეებს ქართული თეატრისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

წელს ქუთაისისა და თბილისის დრამატიულ საზოგადოებათ შპართებთ ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულის გადახდა თბილისის დრამატიულ საზოგადოების არსებობიდან მწ წელიწადი სრულდება წელს, ხოლო რაც ქუთაისში დრამატიული დაი შესდგა მწ წელიწადი. ქართული თეატრის ეს ორივე ხანა საყურადღებო ხანაა და ამ ხანის წლის თავი უნდა აღინიშნოს კიდევ. ამ დღესასწაულების დროს ჩვეულებრივ უსარგებლო ზნე-ჩვეულებას თავი დავანებოთ, შაბლონებს ავერიდოთ და ამ დღესასწაულით ერთგვარი დემონსტრაცია მოვახდინოთ ქართული თეატრის სასარგებლოდ. საქმეს დრამატიული საზოგადოებანი თუ დასნი აქედანვე უნდა შეუდგენ, თორემ წელს არც კი მოესწრება. ამ დღესასწაულისათვის უნდა დაიწეროს ვრცელი ისტორია დრ. საზოგადოებისა და დასის მოღვაწეობისა, უნდა გამოირცეს სააგენტო მონაბრძნის პატარა-პატარა წიგნაკები და სხვა. ყოველივე ეს შრომა არც მთლად უმნიშვნელო დროს თხოვლობს და აზიკომ ახლავე უნდა განაწილდეს. სასურველია დრ. საზოგადოებანი ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად კრებს ამ თვეშივე მოიწვევდნენ. საქმე დაყოვნებას არ იწყებარებს.

აქილენი



რეს უქადის ხალოვნებას მოვაპალი

რომ ხელფანებისათვის სჯარათა ჰქნათის, რომელიც შეიქმნებას არა ცაქანის შექნათ და ნებისყოფით, არამედ ერთგვარ თანდაყოლილ მწარსოებულ ინსტიქტის მეფებათ, რომ ხელფანის უმეტეს წაწილად თვისდა შეუკნებლად ჰქმნის დიდებულ წაწარმებთ, ეოველივე ეს, ვგანებ, ტრუფისმა. ამ შემთხვევაში შეუძლია ვისმეს შემდეგა ეთხვით მოგვამართოს: თუ ხელფანება ერთგვარი უმადლესი ინსტიქტის თავისებურა განვითარება, განვითარებაში ცადასვლით ხომ უნდა მოისხოს იგი? მტრან ჰყენ შეგვიძლია ვუხასუსოთ, რა ეს ინსტიქტი და თვითარსი შემოქმედება შეუძლებლია დაქმნი მოისხოს, რადგან ხელფანება მათ განსხვავდება შენეიერებასგან, რომ იგი თავისებურად აშქარავეებს თვის უმთავრეს სჯანს — დამატეველებს სხით ცხოვრების დასურათებისა და აშქარავეს მის არა ახორციელების, ანდა მისა და დაწარმების შემქმნებით, არამედ თვისი განსაკუთრებით. მხოლოდ მსატვარ-შემოქმედებისთვის ცნობილი გზით. თვით შენეიერებაშიც კი დიდი ადგილი უჭირავს შემოქმედებით ინსტიქტს, იმ „შანჯან თვალსა, ადამიანის გონებას რან სსაწაულთ ადენიებს. ხოლო ჰქნისოები შემოქმედებით იბადებან ასეთად და შინჯანი ხმ. უმე დაბადებიდან მიიწვეეს მათ მისჯიდ ჰყე დრისავეს.

რომ ხელფანის წარმოდგენამ და ჰქეინსურმა შემოქმედებამ რამე შექმნას, სსჯარათა იგი წრფივად გრძნობათ იეუეს ჰინვეულია, მტრან კებე შენეიერული ანდა მისი სწობდეს სთავემ, ეოველგვარ გრძნობას, როგორც ამს ჰქეიერობე ხელფანების მომადლას უარისმყოფელნი. ამის სანახუსუად გეუოს გრძნობათა ეფილიერდა აქეს ანიშნული თვის შრომაში: ნარეველად დადამანისათვის გრძნობანი შეუენბებელი ეო და მხოლოდ სერეების რეფექციონთ მოძრავობს იწვევდა; შემდეგ იგინი შენეიერობად იქმენ; დღეს გრძნობანი დგოთის, ბუნებისა და დადამანთადმი უმე რანეინჯლურ და ფილოსოფიურ სსაიათის არან; თან და თან სხვა ვეენობით ბუნებას და მკოსანიც სუფხოვოდ სწვდება თვისი გრძნობებით ბუნების სადადუმლეს; რე შექმნის ის, რაც ორეფოსს მხოლოდ ელანდებოდა, ამობეს გეუო.

საყურადღებოა გიუოს მიერ სიყვარულის კვალი-
 ლუციის გადმოტემა; ძველ დროს სიყვარულს
 უმეტესად გრძობადი ხასიათი ჰქონდა; ქალში
 სქესსა და სილამაზეს ამჩნევდნენ; საშუალო საუ-
 კუნოებში სიყვარული მასტიკურ ელფერს იღებს
 და რადც განსაკუთრებით სიტურფითა და
 სარწმუნოებრივი მადლით იმასება; ჩვენს დრო-
 ში კი სიყვარული გარდაცვდა და ტანჯვითა ხა-
 სიათი მიიღო; იგი ავსო ფილოსოფიურ ელ-
 მენტებით და მასში თავი აჩინა იმ უსასღვრო
 ძიებებში, რომლითაც მოტყუდა ჩვენი სიღატაკე-
 რად შეეხება საერთოდ გრძობადაც ცხოვრებას,
 როგორც არ უნდა იქმნეს მისი ხეგლი, მის
 მარადის ადგილი ექმნება ხელაკნაშია.

თავი შეტნიერების განვითარებაშიც უღრ-
 მესი ადგილი ეკუთვნის გრძობას აზროვნებით
 ზრტყისა და ტკობასას და თუ ოდესმე ამ ზრო-
 ცესმა დაჭკარვა თვისი თავისება — უსასღვრო
 სიამოვნების მინაჭებისა, მაშინ თავი შეტნიერ-
 რებად მოიხიბება.

ალ. წერეთელი



* * *

მეუღროების შავს ტალღებზე
 შავის ნავით მივსტურავდი;
 ძაძა მერტყა შავად მზრებზე,
 შავის ცრემლით მოვანამვდი.

ნიჩბის მოსმით ტალღა თრთოდა,
 როგორც თრთოდა გულში დარდი;
 ნელი ჩქეფა მე მამცნობდა
 ერთხმოვანად: წა, აჩქარდი!

წინ ვილტოდი, ვით მქროლავდი,
 არნახულის ნახვა მსურდა;
 ახ, არ ვიცი ჩემი ნავი
 ზღვაზე რით ვერ გადასცურდა!!

მ. მანიაშვილი



ბუნების კანონი

ოღესაც დილით დიადმა მზემ მოლოურჯ,
 მოღრუბლულ მთებიდან სიყვარულის თვალით
 გადმოჰხედა სპეტაკ მყინვარს, მყინვარს, ვით
 ქალწულს, შერცხვა პირველი სიყვარულისა,
 აინთო და წამოწითლდა; ზოლო როდესაც
 მზემ ზუვად დაამხვრია მას ოკროს სხივნი
 და კოცნა უძღვნა, კოცნა მხურვალი, მაშინ
 მზის სხივთა კოცნით დამდნარი თრთოლივით
 მოგწყყდი მყინვარის ფრიალოს და ათასფე-
 რად მოციმციმ-მოზრტყევილ დავევარი ქვე-
 ვით. იქ შევეუბრთი ჩემს ამხანავთ, ჩემებრ
 მოციმციმეთ, შეუთვისდი, ჩუხჩუხ-ხტუნაობით
 ჩამოვიარე მთის წვეანთ და ბუჩქნარით დაფე-
 ნილი ფერდანი...

ენძელას გვევრდით, ბუჩქნარის ძირას
 ნაზ იას შევხდი...

ვემთხვე ფერხთ, ვეამბორე; აღარ მინ-
 დოდა მის დაშორება, მაგრამ უხილავი ძალი
 მიმაჩუხჩუხებდა ქვევით, ხოლო უკან მჩე-
 ბოდა ყოველივე კარგი, ყოველივე სპეტაკი...

წაიცრემლე იის სიყვარულით მოხიბ-
 ლული .. და მესმა ხმა მკაცრი: „მთის
 წყარო ხარ, ირბინე, იჩუხჩუხე, ზღვის კიდემდი!
 ასეთია კანონი ბუნებისა!“

* *

ოღესაც მოციმციმე დილის ნამი წითელ,
 ხაჩხაჩა ვარდს გულს ჩაჰკროდა და უსიტყვად
 სიყვარულს უმუქავნებდა, მაშინ მზემ ცხოველ
 სხივებით მიასუსტა ნამი, უკანასკნელად ააბრ-
 ქევილა, ასწვა ააორთქლა და ორთქლად
 ანადენი შეუერთდა ლურჯ ცაზე მოხეტიალე
 ობოლ ნისლ-ღრუბელს.

ნაშ ეძნელებოდა ვარდის გულ-მკერდის
 მიტოვება, ხეწწა-ვედრებით დაღნა, დამცირ-
 და მკაცრ ბუნების წინაშე, მაგრამ მაინც
 თვისდაუნებურად დაშორდა ვარდს.

და ისმა ხმა მკაცრი: „დილის ნამო,
 ააორთქლე, იხეტიალე შავს ღრუბლებამდე...
 ასეთია კანონი ბუნებისა!“

* *

ოღესაც ბრძოლის ველზე გულდაკოდი-
 ლი, მომაკვდავი მეომარი შესთხოვდა, შეგლა-
 ლადებდა საღამოს ჩამავალ მხეს, რათა
 ერთი წუთით, ერთი წუთით მაინც გვიან

ჩასულიყო იგი, რათა უკანასკნელად გამძღა-
რიყო მზის ცქერით, მზე მშვიდათ ჩაეშვა
მთას იქით და კანკალ-ცახცახით ცის წიაღს
მოსწყვიტა უკანასკნელი იმედის სხივი...

და ისმა ხმა მკაცრი: «ჰო, მამარო, ჩაკვდი!
შეუწყნარებელია ჩემ მიერ მომაკვდავის
უკანასკნელი თხოვნაც კი!

ასეთია კანონი ბუნების!»

*
*

ოდესაც მყინვარს საღამოს ჩამავალი
მზე გამომშვიდებისას თრთოლვარე სხივები
უკოცნიდა შუბლს, სიმბოლოს სისპეტაკისას
და უტოდველობისას, მყინვარს ეძნელებოდა
მზის სხივთა კოცნის დათმობა და შეჭლადადებ-
და ცას, რათა ერთი წუთიც ეჩუქებინა მათ
საბედნიეროდ...

მაგრამ ბუნება სდუმდა

მყინვარმა ვერ მოითმინა სურვილის და-
უკმაყოფილებლობა პირი იქუშა, ღრუბლებით
იგრგვინა, იქუქა, ამოიოხრა, აღმოპხეთქა გუ-
ლის ნალღველი ცეცხლ-ნაცარ-ტუტის მსგავსად
და ცის წიაღში ატყარცნილ-აღმართული
ცეცხლ-ღრუბლის ბოძი მზის მომაკვდავ სხი-
ვებში აათამაშა.

მათი ფერღოზე ყველ ფერი იწოდა,
მსხვრეოდა. ნადირი, ხალხი უბედურებას
გაუბროდა ..

დღიურის ჯავით გაწითლებული მზე კი
მშვიდათ ესვენებოდა ზღვას იქით. და მოისმა
ხმა მკაცრი: «მყინვარო, შენი გრგვინვა-ქ-
ხილიც ვერ შეუფერხებს მნათობთ გზა-კვალს!...
მიწა მინც ბრუნავს... მზე მინც ჩავა!
ასეთია კანონი ბუნების!»

მის ლომიძე

ლალო აღნიაშვილი

(იხ. „თ. და ც.“ № 25-26)

ლალო აღნიაშვილი შეადგინა და გაოს-
ცა რჩეულ სიტყვათა ქართული „უბის ლექ-
სიკონი“. იგი იყო ერთი უახლოესი სულის
ჩანდგმელი და დამაარსებელი „ქართულ წიგ-
ნების გამომცემელთა ამხანაგობის“. 90-იან
წლებში სოფელსაც მიხედა (საგარეჯოს მამა-
სახლისად). მან საკუთარს ინიციატივით თბი-
ლისში დაარსა და ერთ ღროს აწარმოვა სა-
ნოვავის და უსაქიროეს საქონლის გაიაფების
მიზნით ქართული საამხანაგო სავაჭრო სახლი,
სახელად „შუამავალი“.

მაგრამ ყველა მის ნამოქმედარს თავისის
მნიშვნელობათ და სიფარავით სქაბობს
ორი მისი უღიდესი საქმე: პირველია—ქართ-
ველ-მომღერალთა მუდმივ გუნდის შექმნა
და მისი მტკიცე ნიადაგზე დაყენება, მეორე—
სპარსეთში მოგზაურობა და იქ ქართველთა
სოფლების აღმოჩენა და მათი აღწერა.

როგორც პირველის, ისე მეორე საგ-
ნის შესახებ ქართულ პრესაში თავის დროზე
ბევრი დაწერილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ
მარტო ფანატკოსს თუ შეუძლიან არ და-
ხოგოს ის დაუშრეტელი ენერგია, დაუწყე-
ნებელი შრომა, აუარებელი ხარჯი, რაც
განსვენებულმა მოანდომა მოპლერალთა გუნ-

დის დაარსებას. გუნდისთვის საჭირო იყო
ნოტებზე გადაღებული ქართული სიმღერე-
ბი, ნოტებისთვის საჭირო იყო მუსიკის მკოდ-
ნე პიზები. ლალომ გამოიძებნა ერთიცა და
მეორეც. თავის სამშობლო სოფელ შილდი-
დან ჩამოჰყავდა შესანიშნავი მომღერალი
გლეხები, ხუთი ექვსი ერთად, აზინავება
სასტუმროებში, აქმევ-ასმევდა, აძლევდა საგ-
ზაო ფულს, თვიურ ანუ კვირეულ ჯამაგირს;
ამღერებდა ამათ და მათი ნამღერალის ნო-
ტებზე გადასაღებად იწვევდა ხან ოპერის არ-
ტისტს და გალობის მასწავლებელს რატოს,
აწ განსვენებულს ვიოლონჩელისტს და მემუნიცი-
კეს სარაჯიშვილს და ხან. სხვას. რასაკვირე-
ლია, ამ უკანასკნელთაც შრომისთვის აძლევ-
და ჯიროვან სასყიდელს. უიმისოდაც მკირე
ჯამაგირის პატრონს ხშირად ისე გამოიღერე-
და ხოლმე ფული, რომ პაპიროსის სყიდვაც
აღარ შეეძლო. იუ ამას დაურთავთ იმასაც,
რომ აივე დროს სხვა გაქირვებულთაც—
გიმნაზიელებს, სტუდენტებს, ქართველ არტის-
ტებს და სხვ. დაუზოგავად უმართავდა ხელს,
ადვილად წარმოვიდგენთ, რამოდენა ნივთიე-
რი შევიწროვება და გაქურვება გამოიწვლია
ლადოს თავის მოკლე სიცოცხლეში. მერე
ვის გაუგია ამზე მისი დაწილება? არავის.

უპირდა თუ არ უპირდა, ჰქონდა თუ არა ჰქონდა, ლადო მუდამ მზაარული, მუდამ მომლიძარე, მუდამ ოპტიმისტურ გუნებაზე იყო, მუდამ ახალ-ახალ სამოქმედო გეგმებს და პროგრამებ.ა მსთხზავდა.

სათავდა-აზნაურო სკოლაში მე და ლადომ სულ ორი წელიწადი დავყავით. ამის შემდეგ ის გადავიდა მასწავლებლადევ ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში, მე დავბრუნდი ალექსანდრეს საპასწავლებლო ინსტიტუტში. კათოლიკების სკოლიდან ილია ჭავჭავაძის დახმარებით ლადომ იშოვა სამსახური თბილისის ქართულ სათავდა-აზნაურო ბანკში. ამ ადგილებს გაცულ ა-გაოაცლის დროს არც ერთ დღეს მას არ მიუტოვებია ლიტერატურული შრომა და, სხვათა შორის, ეურნალ „ჯეჯილისთვის“ სწერდა ბუნების მეტყველებიდან პატარ პატარა წერილებს.

სპარსეთში მოგზაურობაზე ლადო აღნიშვილი ღიდი ხანია ოცნებობდა. ამ მოგზაურობის მიზნად მას დასახული ჰქონდა პოენა, საკუთარის თვალთ ნახვა და აღწერა იმ ქართველებსა, რომლებზედაც, გარდა ჩვენი ისტორიის მოწმობისა, ხშირად ჩამოგარდებოდა ხოლმე საუბარი როგორც რუსულს, აგრედე სხვა ევროპულ პეროდულ გამოცემებში.

ბოლოს, აგვისტოს 1894 წ., ლადომ ეს ოცნებაც სისრულეში მოიყანა. სულ რაღაცათის თუმწნთ (ისიც საკუთარის ნივთების გა-

ყიდვით შეძენილი), იგი სწორედ ამერიკელის გაბეღვლებით, ნათესავების გამოუხსოვებლად, მოულოდნელად წავიდა სპარსეთისაკენ. რა შდეგი მოჰყვა ამ მოგზაურობას, ქართველმა საზოგადოებამ კარგად უწყის, ნამეტნავად ვისაც გადუქითხავს ლადოს მშვენიერი წიგნი: „სპარსეთი და აქაური ქართველები“ საუბედუროდ, ხელმოკლეობის გამო ეს წიგნი ლადომ ვერ დაამშენა იმ აუარებელი სურათებით, რომლებიც ამ განზრახვით სპარსეთიდან ჩამოიტანა (ეს სურათები ახლა მე მაქვს). იგი ანუგშემბდა თავის თავს იმით, რომ მეორე გამაცემ-სთვის „ვეკელის ხვრელში გავჭვრები და სურათებს უეჭველად მოვათავსებ წიგნშიო“.

მაგრამ მისი ბედის ჩარხი სხვანიარად ლატრიალდა: ბევრი ხანი არ გასულა ამ მოგზაურობის აღწერის შემდეგ, რომ ლადოს ქუეიდან შერყევის ნიშნები აღმოაჩნდა. თანდათან შერყევამ იმ ზომამდე მიადწია, რომ ნათესავეები იძულებულნი შეიქმნენ იგი თბილისის მიხეილის საავამყოფოს პსიხიატრიულ განყოფილებაში მოეთავსებინათ. აქ მან იავადა ოთხ წლამდე და 1904 წ. აპრილის თვეში, შობიდან 44 წლისა, სრულიად გამოესალმა წუთისოფელს.

შემდეგ ნომერში მოვიყვან ლადო აღნიშვილის წერილს, სპარსეთიდან მოწერილს.

ალ. მირიანაშვილი

ა გ ა რ ა კ ზ ე მ

I

სალამოს ნიაგმა ფიქვ-ნაძენარს ჩურჩულით ჩამოურბინა; სასეირნოდ გამოფენილ ხალხს მიუღუერსა და ფერადი ლეჩაქები ოდნავ შეათამაშა.

მისი წითელი ლეჩაქიც ლივლივებდა მზის აკეცილ სხივებში და ჯადო-ლოცვას უგალობდა გაჭვავებულ ქაბუქს ქალი მოტრიალდა; თვალები შეხვდენ. ო, რა იგრძნო ქაბუქმა ამ ბობოქარ ზღვა- თვალებში: სამოთხის აღმა შეიპყრო.

წითელ ფრთიანი თეთრი პეველა იმ სალამოს ყველგან ერჩეოდა, ქაბუქი მარტო მას დაეძებდა, მას ხედავდა, პაგრამ თვალები აღარ შეხვდენ ...

ქაბუქი ლამის მატარებელს გაჰყვა.

II

აღარ უნახავს ქაბუქს წითელ-ფრთიანი პეველა. დრომ სიზმარივით გაიარა და ქაბუქი დაბერდა. მოხუცს ცოლიც ჰყავს, შვილიებიც...

III

გარედ თოვს, ბუქავს; სიცივეა, სიცივე... თბილ ბუხარს მისხდომია მთელი ოჯახი. თეთრწვერა მამაც აქ ზის; ძველ ქალაღდებს ათვლივირებს, თავის წარსულს კითხულობს... უბის წიგნები, წერილები...

ჩუ! რამ გააშეშა მოხუცი! გაშტერებული მისჩერებია ცოლ-შვილს.

— ეს როგორაა? რატო ასე? — ხრინ-
წიანი ხმით წამოიძახა და სული შეეხუთა.

— რათ?... რათ?... — ლულულულებდა პირ-
ქვე დაშობილი.

აწრიალდა ოჯახი...

უბის წიგნის გადაშლილ გვერდზე წაიკი-

თხეს: „21 ივლისი, დღეს ჩემი მზე ამობრწყინ-
და: წითელი ფრთებით მორთული თეთრი
პნაპლა იგი, მუცხაზე ჩემი ღმერთი, ჩემი
სალოცავი, ჩემი მზე.“

— სადაა ის, სად? — ლულულულებდა მო-
ხუცი
ალ. ცირეკიქე

ილია ჭავჭავაძე

მ. გედევანიშვილის გამოცემა 1914 წ.

ქართველები უკიდურესობის ხალხი ვართ: თუ დაიბადა რაიმე აზრი, ავინთებით, ალვიგ-
უნებით, ჩვენს ექსალტაციას არა აქვს საზღვა-
რი. მაგრამ ისევე მალე მოედუნდებით, მიუყუჩ-
დებით, და მხოლოდ დუმილით-და ვმუტუვუ-
ლებთ. აღარც ხალხის, აღარც ენერჯიის სიღბო-
ველე. ეს ჩვენი ცხოვრების ანთრამაღურ მდგო-
მარებას ბრალდა. ჩვენი ფისისიკა ისეა მოდუ-
ნებულია, რომ დიდხანს ვერ უძლებთ ადფრთო-
ვანებას, ხალხის. ასე გვიხდება თითქმის ყოველ-
თვის, ასე დაგვამართა როდესაც დაიბადა აზრი
ო. ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემი-
სა. რამდენი დტატება, რამდენი ღამაზი და
მუქქაქურ სიტუებები... და ეიდევ მადლობა ღმერთს
და ბ-ნ მახ. გედევანიშვილის მეტადინობას,
რომ საქმე ქართულად არ დამთავრდა. მაგრამ
რე? გამოვიდა ეს იშუიათი გამოცემა, და თით-
ქმის არც კი შეგვიომხვევია... დაუდევრობა გამო-
ვიჩინეთ. არც ერთმა გასკეთმა, თუ არ ვცდები,
არ აღნიშნა დირსება—ნაკლი ამ გამოცემისა;
მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ გამოვიდა ესა და
ეს წიგნი, და აქა და აქ შეიძლება მისი მიდე-
ბაო. თუ შეისიერება არა მალაატობს, ერთი
პატარა შენიშვნა „თემიშა“ იყო მოთავსებული,
და მადსაელები კაცუთში-კი დიდი აღაქათი
ბ. გრ. უთემიძის მიერ დაწერილ ი. ჭავჭავაძის
ბიოგრაფიის მიერ გამოწვეული. ეს იყო და ეს.
არც ილუსტრაციის დაფასება, არც შრიფტის,
არც მასაჟის დაფაგების, არც ქადაღდის და სხ...
უნდა აღნიშნოთ-კი, რომ აწნაირი ძვირფასი გა-
მომცემა რიგხვით მეთრე: ერთი იყო ბ. ქარ-
თველიშვილის ჟეფუხის ტუფოსანი, მეთრე ეს.
აწნაირი გამოცემა ალაპარაკება ჩვენზე მიდი-
დარ ქვეყნებს, სადაც ამგვარი გამოცემისა ძა-
ღიან სწორი მოფენაა, ჩვენში კი... ისე ვსდუმთ,
თითქმის ეს ყოველდღიური მოფენა არისო.

აი, მაგ. რუსეთში, ისე არ გამოიცემა პრთფ.
ვენეტროვის მიერ დიად მწერალთა ნაწერები
(შექსპირის, ბარონის, შილერის, ზუშკანი-
სა და სხ.), რომ საზოგადოება შესაფერად
არ ალაპარაკოს, და ეს ასეც უნდა იყოს: გა-
მომცემელი ჭხარფავს ამოტუნა ენერჯიას, დროს,
და ელის საზოგადოებისაგან სიტყვას დასაფასე-
ბელს. როგორც ვსწერთ, საზოგადოება-ჩვენში
ციფად შეჭხვდა იღ. ჭავჭავაძის ძვირფასი გამო-
ცემის, ბ. მიხილ გედევანიშვილი — კი ლოდინმა
დაჭადა— ვის რის იტყვისო—გამომცემის საქმე
განგებრძო, თუ არა? აი, ამ საზოგადო დუმი-
ლის დროს, მსურს გამოვიყენო პატრიფიკულ
საზოგადოებას, და ჩემი შთაბეჭდილებანი გა-
უიხადო.

დიდი მოუთმენლობით ველოდი ამ გამო-
ცემის, და გამოტეხით უნდა ვსთქვა, მსატერუ-
ლი მხარე უფრო მაინტერესებდა, რადგან იღიას
ნაწერებს, შედარებით, ვიცნობდი, ამ მხრით ხა-
ლს იმდენს არას ველოდი. და სწორედ ქ გამო-
მამტუუნდა მოლოდინი. აქ ვერა ვნახე ის, რსაც
მხატვრული სახე ეწოდება, აქ ვერა ვნახე სურა-
თი, ილუსტრაციას, აქ არ არის განსახიერება
იღიას სურათების. თქვენ ვერ ნახავთ ნამდვილ
პოხას ისე, როგორც ეს იღიას აქვს მშვენიერ-
და დასატულია, თქვენ ვერ ნახავთ თითქმის
ზეიზაჟის სისწორესაც კი; მე კი მგონია, აქ,
ნამდვილა, ზემომწვევითი სახენი უნდა მიგველო.
ეს კი არ მოხდა. რატომ? იქნებ ბ-ნ ჭრანიევის
ვერ არის კარგი მხატვარი? არა მგონია. მაშ რს
არის მიხეობა, რომ მინ ვერ მოგვბა ვერც ერთი
სწორი სახე? ვერ მოგვბა ილუსტრაციას? მიხეობი,
ჩემის აზრით, ის არის, რომ ბ-ნ ჭრანიევისკომ
დასატა იქ, როგორც უთხრეს, და რაც უთხრეს,
და არ ისე, როგორც ჭხატავს საზოგადოდ
მხატვარი — სელოგანა. და სწორედ აქ არის



მობრავი დასი ქიზიყში

რომელმაც ამ ზაფხულს სიღნაღსა და ქიზიყის სხვადასხვა სოფლებში ოც-ამდე წარმოდგენა გამართა. დასი მოგზაურობდა ურმით. ზევიდან პირველ რიგზე: ვ. მარგველაშვილი, ი. ვივიძე, ა. კავთელი, ნ. გვარამე, ი. თარალაშვილი, — დგანან: ნ. ჩაგუნავა, ვ. ალუღიშვილი, ო. სააკვიცისა, ურმის თავზე — მურუმე, ძირს შეაფიქე.

დალქი ხელოვნებისა. შემოქმედებითი ზრთისა უფრო რთულია, ვიდრე ეს გვგონია. რომელიმე გმირის დასახატად, მხატვარმა თვით უნდა განიტადოს მთელი მისი დედა-სურვილი, გულის დული. მხატვარმა თვის არსებაში უნდა გაღმობინოს მთელი შინაგანი სტიქია გმირისა, გადადუღოს, და ასე განიმსჭვავლოს მისი გრძობით. მხატვარმა უნდა შეინაწვლოს გმირის აზრი, ვნება, ფორმა, სხეული. მისი შესძლებს მის დასახტას, და თვით სხეულის უფულ ნაკეთის სისრულით გადმოტყუოს. მისი მიადებთ ნამდვილ დუსტრაციას. ბნ ჭრინევის უნდა სტნობოდა კაო, ზაქრო, ლუარსაბო, თათრანთ ქერაო, უნდა სტოდნოდა ზარ-ქუშო სახე განდეგილისა, მისი აგონია, და იგივე ამაღლდებოდა ხელოვნებადის. მისი მოგვემდა მათ ნამდვილ სახეებს. აქ კი მხოლოდ მანეკენები მოგვტა. ამით მან უდალატა ხელოვნებას, და დიდი ცოდვა ჩაიდინა. მისი ნახტი ანაკაღულა — „კეფილს“ უფრო შეფერება, ვიდრე სავსებოა, ძვირფას გამოტყუას...

(გავრთლება შემდეგ ნომერში)

ვახტანგ კოტეტიშვილი

ჩემო სამშობლო!

(მელიტონ გობეჩიას ხსოვნას)

— ჩემო სამშობლო, შენს კალთაზე ვიშვი-ვიზარდე; ბავშობიდანვე შევეზარდე შენსა სინაზეს. შენ შემეყვარდი! გულსა მიტებობდა, მიხარებდა ზამთარ-ზაფხულში მოკისკივ შენი ტყე-ველი. — შენ იყავ ჩემი სანეტარო ტურფა-მიჯნური, შენზე ვფიქრობდი, ჩემო კეკლუცო!

ჩემო სამშობლო, კობტავ, ტურფავ, ყვავილოვანო, რა რიგ მინდოდა შენს წილში დაბადებულსა სამუდამოთაც შენს მიწაზე მიმძინებოდა.

უწყალაო ბედმა მოკლა წაილი. ჩემ სამარეზე არ ამოდის ია-ზამზახი, არცა ამშვენებს მობიბინე ნაზი ბალახი, მძლოვრად შეუკრავს ყინვას ჩემი სამარის პირი და სავალალოდ თავხედატ-კი ბულბულის ნაცკლად — ყვავი დამჩხავის.

ილია ბახტაძე

შემოდგომა თბილისში

(ეუძღვნი დაკარგულ მეგობარს)

რომ იცოდე რა კარგია ეხლა, ამ დროს ეს მიდამო:
 წუთის განცდა სიცოცხლეა საუკუნო, სამუდამო;
 ამ დროს მტკვარი ქიანურობს, ჭიღარა და მოცახცახე,
 ამ დროს მხკოვან მთაწმინდასაც ეფურცლება ღიმილთ სახე;
 ამ დროს ხალხსაც ვერა ნახავ გულ-ჩახვეულს, გულ-მწუხარეს...

— შენ კი სად ხარ? რომელ მხარეს?

იქნებ როცა შემოგვსმა ხმა ბრძოლისა, ხმა გმირული,—
 ომში წახველ, და შენც იბრძვი მამულისთვის განწირული?
 იქნებ გდხიარ ბრძოლის ველზე დაფლეთილი მარტოა, ობოლა,
 უხმოზ დედას—სამალამოა, უხმოზ სატრფოს—თანამგძობოლა
 და მათ ნაცვლად ყვაე-ყორნებმა დაგჩახვეულს და დაგხარხარეს?

— სად ხარ, სადა? რომელ მხარეს?


მეგრამ იქნებ მტრის ბანაკში შეაფარე შიშით თავი,
 იქნებ ვახდი მოლაღატე, ჯაშუში და გამყიდავი?—
 და გაჰყიდე ეს სამშობლო, და გაჰყიდე ეს მამული:
 გმირთა ძეგლებით მოკენქილი, მებრძოლთ სისხლით დანამული?
 იქნებ მოჰკვდი და საჩუქრად საფლავიც არ გაგითხარეს?

— სად ხარ, სადა? რომელ მხარეს?

რომ იცოდე რა კარგია ეხლა, ამ დროს ეს მიდამო:
 წუთის განცდა სიცოცხლეა საუკუნო, სამუდამო;
 ამ დროს მტკვარი ქიანურობს, ჭიღარა და მოცახცახე,
 ამ დროს მხკოვან მთაწმინდასაც ეფურცლება ღიმილთ სახე,
 ამ დროს ხალხსაც ვერა ნახავ გულ-ჩახვეულს, გულ-მწუხარეს...

— შენ კი სად ხარ? რომელ მხარეს?

თბილისი, ენენისთვე.



მოგონება

(ძღვნად მაწაწის)

ისე ტკბილია ეს მოგონება, ისეთი ნაზი და მიმზიდველი,
 ვით შავ თმინი მაისის ღამე, როგორც მზის შუქი უკანასკნელი.

ჰა, მაგონდება ბაღი, ნაძენარი, მიდამო მწვანედ ფოთლილ-ხურცილი,
 იქ შენს თვალეშში ამოვიკითხე გამოუცნობი ენება-სურვილი.

მაგრამ გაფიცებ, გაფიცებ ღმერთებს აწ ნულარ მტყორცნი თვალითა მაგ ისრებს,
 თუ სულს ვერ მისცემს განცდას ძლიერსა, თუ ჩვეულებრივ ტრფობას მაკისრებს,
 დაუსრულებელ ძიების საგანს შენს სიყვარულში მჯერა ვერ ვპოვებ,
 ნუ შემეყვარებ, თორემ მერწმუნე, მყის მოგშორდები, მყის მივატოვებ.

თუ შემოგჩვივო უმეგობრობა, ყურს ნუ დაუგდებ ჩემსა ჩივილსა,
 მე თვითონ შევძლებ, მე თვით ავიტან ამ ჩემი სულის წყლულსა-ტკივილსა...

ისე ტკბილია ეს მოგონება, ისეთი ნაზი და მიმზიდველი,
 როგორც სიზარი ქალწულ ქალისა, ვით ანგელოსთა სავალობელი...

მთის ნიავი



1914-15 წ. სამთრის

სეზონის რეჟისორები



სახ. სახ.
კ. ნაითირიშვილი



ბაკოსი
შალ. დადიანი



ქუთაისის
ვ. შალიკაშვილი



ქიათურის
გ. ბარჩველი



აელაბრის
ი. ივანიძე



მ. კორიელი

თბილისის



ალ. წუწუნავა

კომპოზიტორ დ. არაპიჯვილის თხზულებანი

ვსაფეხ-რს ჟერ-ჟერობით მსკვლავსანს ბ. არაპიშვილის კომპოზიციებზე, მსურს შევეხომის ორკესტრულ ნაწარმოებთ. ამათ რიცხვში შედიან: ბუერის შესავალი, ორმუხდის ჭიშინი (სასანდრისეული), ფუტა, ესმერალდო, დაფურ-ლეკური და თუშების ტეკვა.

ამ ექვს დიდ ორკესტრულ ნაწარმოებში ჩვენს ურადლებას იქცევს ზირველი ოთხი თხზულება, როგორც საკუთარი ნაყოფი კომპოზიტორის შემოქმედებისა, მისი ფანტაზიის შედეგი. ორი უკანასკნელი კომპოზიცია-კი (ტეკვა), როგორც ხალხიდან აღებული და დამუშავებული ტემა, ჩვენთვის საინტერესოა მათ, რომ ამჟღავნებს კომპოზიტორის, ნიჭთან ერთად, თეატრულიად მომზადების და ორკესტრის ზედმიწევნით ცოდნას.

რაც შეეხება ზირველ ორს ნაწარმოებს, მათზე მსურს ცოტა სწილ შევხედვე; ბუერის შესავალზე ჟერ არაფერს ვიტყვი, ვიდრე არ მოვიხილოთ მთელ ბუერს იმის გასაცნობად, თუ რამდენად ზედმიწევნითაა აქვს ავტორს შესავალში შენასკული ბუერის კვანძი, ანუ დედა

ასრი და რამდენად იგივე კვანძი ფართოდ აქვს გაშლილი და დამუშავებული ბუერში.

ვიდრე გადავიდოდეთ ორმუხდის ჭიშინისა გარჩევასზე, ვალდა ვრაცს თავს ერთა შენიშნა ჩართოთ. კომპოზიციის გარჩევის დროს მე არ ვაქცევ ურადლებას იმას, თუ რამდენად იგი თეატრულიად არის დაწერილი, ე. ი. რამდენად კომპოზიცია ექვემდებარება არსებულ მუსიკალურ გრამატიკას. ამ მხარეს ჩვენთვის არაერთი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანც მუსიკალური თეორია, ან გრამატიკა, ისეთივე ცვალებადი და მრავალფეროვანია, როგორც კანცის ენა, და ამიტომ ამ შემთხვევაში ის კომპოზიცია სტოკოპოს შობაგვადილებს, სიდაც, ასრთან ერთად, გამოსწვრეტს კომპოზიტორის უაღრესი ნიჭი და ამ ნიჭის მუსიკალურ ფორმად და ტკბილსმოვანად ჩამოსხმა, თუქ ეს ფორმა არც კი ექვემდებარებოდეს არსებულ მუსიკალურ თეორიას.

ორმუხდის ჭიშინი, ანუ როგორც წინად უწოდებდა კომპოზიტორი, „სასანდრისეული“, წარმოადგენს შესანიშნავ მუსიკალურ ქმნილებას,

როგორც სამფლობელო ნაწილები. მას ჩვენ არ შეგვიძლია ვუწოდოთ სამფლობელო, რადგანაც იგი არ შესდგება ამ ნაწილებიდან, რომელთაგანაც შესდგება სამფლობელო და არც არის მასში დაცული სამფლობელოს სამი. „ორმუხლის ჭიშინ“ შესდგება ერთ ნაწილისაგან და თავიდან ბოლომდე დაცულია ერთი სამი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუსიკა, როგორც ნაყოფი დამკვდარი ფიქრისა, შესანიშნავს და მთლიან შთაბეჭდილებას სტოპებს მსმენელს.

გრძელდებიან ჩაუკვირდეთ ორმუხლის ჭიშინს და ვერსურდეს ვნაყოფოთ მასში რაიმე დიდი იდეა, ეს ტუფილი ცნა იქნება და არც ჭიშინი კომპოზიტორს ეს მხედველობაში, ეს თხსულება უცხადებო ნაყოფია მისი ფანტაზიისა, მისი შემოქმედების; მაგრამ უცხადებო ნაყოფია ფანტაზიისა რომ ჩამოასხა მშვენიერ დიდს მუსიკალურ ფორმაში, ამას დიდი დრო და მტკვადიებობა უნდა, რასაც სავსებით მოწმობს თვით ნაწარმოები.

ჭიშინის ზარეული აკორდი რომ გაისმის, მსმენელი რადაც საამოვნებია ჭეორმობს, ამ საამოვნებებს, რომელიც ჩასუსხვის ხოლმე გულში სამშობლოს ჭიშინის გაცხებების დროს, და, მართლაც, ორკესტრი ასრულებს სისხანდრის-სეულ კილოს, რომლის ხმაც წვრილია, წვრილია და გულის სიღრმეს ასე სწვდება, როგორც კეკელუბო ქალის ჯღერსი და გულს ისე სთუთქავს, ვით გლოვის საზო.

აი ამ სამშობლოს სფერის ნაზირადამ ამოდრავებს კომპოზიტორი თავის ნიხიებს და მიახლოებს ნავს წინ, წინ, უკან კი რჩება აბიბინებულნი მდელით, ფერადოვანი ტუფი და მარად თოვლისაგან თეთრად შეფიქვდილი მთები.

კარგად რომ გაშლის ფრთას და მოამარჯვებს ნიხიებს, კომპოზიტორს დააწვივდება საიღამაც ჯერუდა თავისი ნაყოფი; მის ავიწვდება ამ სამშობლო ნაზირი, მისი ჭიშინი, ავიწვდება ამ ჭიშინი უფრო მოხაბლული მსმენელია და მიაქროლებს თავის ნავს უცხო ქვეყნისკენ, ახალ ნაზირებისკენ, უცხო სუბისკენ. მაგრამ მოხაბლული მსმენელი არ არის წავებაში, არ არის მოტუეული. კომპოზიტორს შეჭვავს მსმენელი უცხო ფარვალში და უშლის თვალწინ უცხო მშვენიერ სურათსა, უცხო მუსიკისა სავაროს; ასე რომ სამშობლოს ჭიშინიღამ უცხო ჭიშინის

სიფროში შეერევა არ არის მსმენელისათვის მოულოდნელი, ეს მას არ ეხამუეება, რადგანაც კომპოზიტორი ისეთს ტურფა და მძლავრს მუსიკალურ სურათებს უხატავს; რომელიც ისეთივე სიძლიერით ჭიშინიღამ და ამონებენ მსმენელს, როგორც დასწავისში.

